"ქართული ფილმი", 26 სექტემბერი, 1990 წ.

ზურაბ კიკნაძე

erovnuli tragedia

"ახალგაზრდა ივერიელის" 14 ივლისის ნომერში დაიბეჭდა "ღია წერილი სერგეი კოვალიოვს" ჰელსინკის კავშირის სახელით (ზ. გამსახურდია, გ. მარჯანიშვილი, თ. ქორიძე, გ. ხოშტარია). წერილს ახლავს მინაწერი, რომელიც ქართველი მკითხველისათვის არის გამიზნული. "მინაწერში" ეჭვის ქვეშ არის დაყენებული "ქართველ მაჰმადიანთა უფლებების დამცველი ლიგის" არსებობის მიზანშეწონილობა. რამდენადაც ხსენებული ლიგის არსებობის მოთხოვნას სხვებთან ერთად მეც ვაწერ ხელს (იხ. "თბილისი", 5. VII) არა როგორც ლიგის წევრი, არამედ როგორც მომხრე იმისა, რომ ასეთი ლიგა უნდა არსებობდეს, ვალდებული ვარ განვმარტო ზოგიერთი რამ ამ საკითხის ირგვლივ, არსებითად.

"მინაწერში" გატარებულია აზრი, რომ ამგვარი ლიგის არსებობა "ამყარებს ეროვნული სხეულის მთლიანობის რღვევის უკვე შესუსტებულ ტენდენციებს". აქვე დასმულია ასეთი კითხვაც: "ვის დასჭირდა საქართველოს ტრადიციული მტრების მსგავსად კიდევ ერთი დაყოფა რელიგიური ნიშნით?"

ნუთუ "მინაწერის" ავტორებს არ მოეხსენებათ, რომ საუბედუროდ ქართველობა, თუმცა არა თანაბარ ნაწილებად, დაყოფილია რელიგიური ნიშნით, რომ ეს ისტორიული მემკვიდრეობაა, რომ ეს რეალობაა და ახლა მტრების ძიება ამ დაყოფაში ამაოა. "ლიგა" შექმნილია ამ რეალობის საფუძველზე და იმ კონკრეტული ვითარების კარნახით, რომელშიც მოექცნენ მესხეთიდან გასახლებული ქართველი მაჰმადიანები. ხსენებულ ლიგას დასახული აქვს კონკრეტული ამოცანა: დაეხმაროს მაჰმადიან მესხებს ეროვნულ თვითგამორკვევაში, რაც დიდ დაბრკოლებას აწყდება, ცნობილი ძალების მოქმედებით, როგორც საქართველოს გარეთ, ისე საქართველოში.

ქართველი საზოგადოების ფართო წრეებმა, გასაგები მიზეზების გამო, არც თავის დროზე იცოდნენ, რომ 1958 წელს შეიქმნა "ქართველ მესხთა წრე", რომ არსებობდა ხელნაწერი გაზეთი "აღორძინება" (თურქულ ენაზე), რომ მიმდინარეობდა ბრძოლა მაჰმადიან მესხთა ეროვნებისა და ქართული გვარდასახელების აღდგენისათვის, რომ დიასპორის მაჰმადიანი მესხები მოითხოვდნენ ქართულ სკოლა-ინტერნატებში მათი ბავშვების მასობრივად მიღებას, ლიმიტებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, თხოულობდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ლექტორებს, დოკუმენტურ ფილმებს საქართველოზე და ა. შ., და ახლაც ცოტამ იცის, რომ იუსუფ სარვაროვის (რომელსაც თავისი წინაპრები ჰყავდა მევლუდ ბაირახტაროვ-მჟავანიძისა და ენვერ ოდაბშევ-ხოზრევანიძის სახით), რიცხობრივად აშკარად გაზვიადებული "არმიის" (მათი რიცხვი ნახევარ მილიონამდეც კი აჰყავთ!) გვერდით კვლავ არსებობს ქართული შეგნების მაჰმადიანობა, რომელიც კვლავ ესწრაფის, მოითხოვს თვითგამორკვევის უფლებას, რისთვისაც განიცდის შევიწროებას, შანტაჟს, ტერორს, პროთურქულად გაწრთვნილი, საკმაოდ ძლიერზურგიანი, აწ უკვე პარტიის "ვათანის" მხრიდან.

სარვაროვი (ყოფილი დიდებულიძე) და მისი დასი, რომელთაც უარყვეს თავისი ისტორიული წარსული, გვარტომობა, ყოველნაირად, ყოველი ხერხით, ცდილობენ ქართული თვითშეგნების მატარებელ მესხთა გადაბირებას, რომ მათ მიერ თავიანთი გვარტომობის უარყოფით იბარტყოს თურქ ავტონომისტთა პარტიამ – მაჰმადიანი მესხობა მთლიანად გადაიქცეს ახალ თურქულ სუბეთნოსად.

ასეთ ვითარებაში რა პოზიცია უჭირავს ქართულ საზოგადოებას? ნაცვლად იმისა, რომ გაერკვეს პრობლემაში და მხარი დაუჭიროს ეროვნებისა და გვარსახელის აღდგენის მოსწრაფე მაჰმადიანი მესხების სამართლიან ბრძოლას, ქართველი საზოგადოება მათ

აცხადებს თურქებად, რითაც "ვათანის" წისქვილზე ასხამს წყალს. რას ესწრაფის საქართველოს ფარგლებში თურქთა სანატრელი ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტი? თუ არა იმას, რომ დაუმტკიცოს სსრკ-ს, მერე მსოფლიოს, რომ საქართველოდან გადასახლებულნი ყველანი თურქები იყვნენ და მათში ქართველი არ ერია? რომ არ არსებულა მაჰმადიანი ქართველობა მესხეთში, რომ ყველანი ისინი წარმოშობით თურქები იყვნენ?

იმ მინაწერში ვკითხულობთ: "ვიდრე თბილისში არ აღმოცენებულა ცალ-ცალკე სხვადასხვა კონფესიის და სარწმუნოების ქართველთა უფლებების დამცველი "ლიგები" და "ასოციაციები", ვიდრე ეს "ორგანიზაცია" არ ქცეულა ახალ საცთურად ქართველი საზოგადოებისათვის, სჯობს დავფიქრდეთ და გავჩერდეთ". რა შეიძლება იყოს sacTuri ქართველი საზოგადოებისათვის, ამაზე ქვემოთ ვიტყვით. დაფიქრება კი ნამდვილად სჯობს. აუცილებელიცაა, მაგრამ სად გავჩერდეთ? ბედისა და იმპერიული ძალების ანაბარა მივატოვოთ ხალხი, რომელიც საქართველოდან, ქართველობისაგან, ელიან გაგებას და შემწეობას? ვაღიაროთ ტერმინი "თურქი მესხები" (ან "მესხი თურქები", რაც იგივეა) და ვიტყუოთ თავი, რომ გადასახლებულთა შორის არ არსებულან "ქართველი მესხები"? ამით გაუქმდება ეს პრობლემა და მომავალში უფრო მძიმედ არ დააწვება ქართველობის ეროვნულ სინდისს?

მაჰმადიან მესხთა (როგორც საზოგადოდ, მაჰმადიან ქართველთა პრობლემას აქვს თავისი ისტორიულ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ- (და, ცხადია) რელიგიური ასპექტები, მაგრამ თუ ამ პრობლემას წმინდა ეროვნული კუთხით შევხედავთ, იგი უნდა განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ზნეობრივი განსაცდელი, რომელიც განგებამ შეახვედრა დღეს ქართველობას და მან უნდა გადაიტანოს იგი ღირსეულად, როგორც უნდა სჩვეოდეს ჭეშმარიტ ქრისტიან ერს, თუკი მის ზნეობაში ამ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე არ მომხდარა დამღუპველი მუტაცია, ნახტომისეული შეცვლა ტრადიციული გენოტიპისა. ეს განსაცდელი უნდა გაიაროს ქართველობამ, როგორც პიროვნებამ, პასუხისმგებლობით თავისი წარსულისა და მომავლის წინაშე, ღვთის წინაშე, თავისი წმინდანებისა და მფარველი ანგელოზების წინაშე. ეს განსაცდელი არ უნდა გადაიქცეს მისთვის საცთურად. მითუმეტეს, თუ მას მომავალში დასახული აქვს თავისუფალი ქრისტიანულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა. როგორ შეხვდა ამ განსაცდელს ქართველი საზოგადოება მე-20 საუკუნის დასასრულს? თუ გაუძლო მან ამ განსაცდელს?

მოსალოდნელი "დიდი თურქობის" შიშის ატმოსფეროში გარკვეულმა წრეებმა წამოიწყეს ქართველი საზოგადოების ყველა ფენის "დამუშავება" მაჰმადიანი მესხების წინააღმდეგ მათ განსაწყობად. ეს კამპანია დაიწყო გასული წლიდან (წლის მეორე ნახევრიდან და დაემთხვა იგი სამაჩაბლოს აჯანყებას). ერის მოღალატედ გამოცხადდა ყველა, ვინც კი სიტყვა დაძრა პრესის თუ მიტინგის საშუალებით მათი ელემენტარული ადამიანური უფლებების დასაცავად. სახალხო კიცხვა-მხილებისა და სიძულვილის მსხვერპლნი ხდებიან არა მხოლოდ ისინი, ვისაც გული შესტკივათ დარბეული, უმიწაწყლო მაჰმადიანი ქართველებისათვის, არამედ ისინიც, ვინც ბედავს და მათ დამცველებს იცავს.

გასაგებია, რომ დღევანდელ პირობებში გასახლებულთა მასობრივად მიღება ქვეყანას არ შეუძლია. რომც არსებობდეს გარდაუვალი საფრთხე მათი ძალით შემოსვლისა (ანუ მშვიდობიანი თავდასხმისა) თუ შემოსახლებისა მოსკოვის დადგენილებით, რამდენად გამართლებულია ყურით მოთრეული, შინაურული არგუმენტების მოშველიება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და მათით გაუთავებელი, ისტერიამდე მისული სპეკულირება?

გასაგებია, როცა ვეუბნებით მაჰმადიან ქართველებს (მესხებს): ჯერ ვერ შემოგიშვებთ, ძმებო, ჩვენი ღვიძლები ხართ, მაგრამ დღეს უჭირს ქვეყანას (ამ დროს ჯანყია ბორჩალოს თათრებში), შედით ჩვენს (!) მდგომარეობაშიო.

ისიც გასაგებია, როცა მცირემიწიანობას ვიმოწმებთ, სტიქიისაგან დაზარალებული ჩვენიანებისთვის ვერ გვიპატრონებიაო (თუმცა გვავიწყდება, isinic რომ ჩვენიანები არიან, სტიქიაზე უფრო ძლიერი დარტყმით დაზარალებულნი).

იგრძნობოდა რა ამ არგუმენტთა აშკარა წარმავლობა და მათი მოსალოდნელი გაბათილება ისტორიის სამსჯავროზე, როცა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა თუ მონარქია, ადრე თუ გვიან, წარდგება თავისუფალ ერთა წინაშე, ამ არგუმენტებს მოჰყვა ახალი, უფრო "ძლიერი" არგუმენტი "დიდი თურქობის" თავიდან ასაცილებლად.

ქვეყანაც რომ თავზე არ გვექცეოდეს, მცირემიწიანი რესპუბლიკაც რომ არ ვიყოთ, ნამდვილი ქართველებიც რომ იყვეთ და თქვენი ამორჩევის უფლებაც მოგვცენ, მაინც ვერ შემოგიშვებთ, თქვენი ადგილი არ არის საქართველოს სამოთხეში, რადგან ქართველთმოძულენი და კაცისმკვლელთა შვილები და შვილთაშვილები ხართ ყველანი.

"ნამდვილ მესხს რომ ჰკითხოთ, 1944 წელს საქართველოდან გასახლებული მაჰმადიანი მესხები უფრო სასტიკად ექცეოდნენ ქართულ მოსახლეობას, ვიდრე თურქები. არის ამ სისასტიკის ფაქტები, არიან თვითმხილველი მესხები, რაზეც პრესაში ბევრჯერ დაიწერა" (იქვე).

რა მიზანს ემსახურება ტერმინი "ნამდვილი მესხები" (ისეთივე სიმახინჯე, როგორიც "თურქი მესხებია") და დაპირისპირება მათსა და "მაჰმადიან მესხებს" (როგორც ჩანს, ავტორთა ფიქრით, "არანამდვილ მესხებს") შორის, თან, როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ზნეობრივი ნიშნითაც კი, – თუ არა იმას, რომ ქართველი მოსახლეობის ფართო ფენებში შექმნას ხატი თურქზე უარესი მტრისა, რათა საბოლოოდ გადაეკეტოთ გზა სამშობლოში დასაბრუნებლად დიასპორაში მყოფთ? ტენდენციურად ამოწეული "სისასტიკის ფაქტები " გამიზნული ცილისწამებაა და იგი აღწევს მიზანს ჩვენს თავგზააბნეულ, თურქობის შიშით შეპყრობილ ქართველთა შეგნებაში. მათი "შთამომავლობითი" სიმხეცის ფაქტები დაიჯერა ყველამ საქართველოში ინტელიგენციამაც კი, წამოეგო რა ამ ცილისწამების ანკესზე. ვისაც პირველ რიგში თავისი მოწოდებით ევალება მოარული ხმების გაცხრილვა, პირიქით არის ტენდენცია ამ ფაქტების მანკიერი ინტერპრეტაციისა.

"განა თქვენზე და ჩემზე უკეთ არ იციან თვით მოხუცმა მესხებმა, ვისთანაც აქვთ საქმე? სახლებში გვეჭრებოდნენ, ქალებს მიათრევდნენო, გზაში კაცს ხეზე მიაბამდნენ, ცოლს იქვე აუპატიურებდნენო. კაცს თავს აცლიდნენ, წვავდნენო, გვაწიოკებდნენო და ა. შ. ახლა ვიკითხოთ, იმათი შვილები დაგვინდობენ?" ("თბილისი", 27. XI. 89).

სრული სიმართლეც რომ იყოს ამ სიტყვებში, – ჩვენს პრესას დღემდე არ უცდია აეხსნა, როდის ხდებოდა ეს ამბები: საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა ეს სიმხეცე მესხეთის მაჰმადიანი ნაწილის მხრიდან, თუ ასეთი ფაქტები სპორადული იყო და გარკვეული პოლიტიკის გასამარჯვებლად პროვოკაციულად გამოწვეული უკვე ჩვენს ხანაში, თუ უბრალო მეზობლური შუღლი, ხშირად სისასტიკეში გადაზრდილი, რაც ყოველ ადამიანურ საზოგადოებაში დასტურდება, – ერთი თაობის ამ არაადამიანური ნამოქმედარის ეჭვმიუტანელ წყაროდაც რომ მივიღოთ "თვით მოხუც მესხთა" დღევანდელი ნაამბობი, ვისა აქვს უფლება მისი დანაშაული მომდევნო თაობას მიუთვალოს, თითქოს შთამომავლობით მიეღოს მას კაენის ცოდვა თავის სისხლში, გენებში...? "იმათი შვილები დაგვინდობენო?" რას ნიშნავს ეს სიტყვები? იმას ხომ არა, რომ მათ ავტორს სურს გაამართლოს მათი გასახლება? ("ეგენი კაი ხალხი რომ ყოფილიყო, სტალინი არ გაასახლებდაო", ხშირად გავიგონებთ საზოგადოების ყველა ფენაში). ამ სიტყვების ავტორი იქამდეც კი მიდის, რომ ლამის ნამუსი მოსწმინდოს მაშინდელ "ენკავედეს": "გადასახლება ხომ შერჩევით მოხდა, არა ხელაღებითო!" თურმე თანამედროვე "სუკის" წინაპარი ზნეობრივი კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა ამ რეპრესიების დროს – მხოლოდ კაცისმკვლელთა შვილები შეურჩევია გადასასახლებლად.

ყველაზე საზარელი და სამარცხვინოც ის არის, რომ "თურქობის" შიშმა ღვთის გმობა დააცდენინა ქრისტიან ადამიანს, ქართველს:

"...ესაა მასა, რასაც ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ქართველი ვერ მიიღებს, არა იმიტომ, რომ არ გვეცოდებიან და ჩვენთვის უცხოა "ქრისტიანული სათნოება", რაზედაც გვიკიჟინებთ, – ასეთი რამ, ღვთის წყალობით, ქართველებს არასოდეს დაგვკლებია, და სავალალო შედეგიც თვალწინ გვაქვს" (იქვე).

აი, ნამდვილად ზნეობრივი ნახტომი! აქ ყველაფერი ყირამალაა დაყენებული, გაუკუღმართებული, ქრისტიანული სათნოება, ღვთის წყალობაც კი თურმე შეიძლება ჩვენი ისტორიული ბედუკუღმართობის წყაროდ გამოცხადდეს.

ასეთია ჩვენი პრესა, მაგრამ განა ამას ფიქრობს ქართველობა თავის გულისგულში? განა ასე შთაგვაგონებს ჩვენი მფარველი, ის "სულმნათი საქართველოსი?" ნუთუ "თავის გადასარჩენად" უნდა იწირებოდეს ქრისტიანული სათნოებაც, ჭეშმარიტებაც?

ნუთუ გათურქებულ ავტონომისტთა მოგერიებას უნდა შეეწიროს ქართული ორიენტაციის, ქართველობის მაძიებელი მაჰმადიანი მესხების ნაწილი?

ნამდვილად, მათ წინააღმდეგ მიმართული ასეთი გამძვინვარებულ-გაკაპასებული კამპანია საბჭოურ-ბოლშევიკური წარმოშობისაა თავისი პათოსით, რაც მით უფრო შემზარავია, რომ მას სურს ეროვნული მოძრაობით იყოს ნასულდგმულევი.

ცენტრალური და ჩვენი პრესა და ტელევიზია დროგამოშვებით "აშუქებენ" "თურქ-მესხების" პრობლემას; მაგრამ ინფორმაციის ყოველი წყარო – ჩვენი და, მითუმეტეს, ცენტრალური – დუმს ქართველ (მესხ) მაჰმადიანთა პრობლემაზე. მხოლოდ ერთხელ "სახალხო განათლებაში" დაიბეჭდა საქართველოში დაბრუნებულ მესხთა (ი. ბექაძის, ა. ყურაძის, ი. ხოზრევანიძის, ნ. ხოსაძის, ი. ლაზიშვილის და სხვების) "მიმართვა" ამავე გაზეთის რედაქციისადმი, სუსტი ხმა, რომელიც უპასუხოდ დარჩა ("სახ. განათლება", 7. VI. 1990).

მაჰმადიანი მესხების პრობლემა დღეს უკვე ნამდვილ ეროვნულ ტრაგედიაშია გადაზრდილი, უფრო მძიმეში, ვიდრე ფერგანაში მომხდარი სისხლიანი ამბებია. რადგან ახლა საქმე ეხება ხალხის არა ხორცსა და სისხლს, არამედ მის სულს, მის ეროვნულ თვითშეგნებას, რომელიც ითრგუნება, როგორც iq, დიასპორაში, ისევე aq, სამშობლოში. ჩვენში აკრძალულია ისევ და ისევ ეროვნული მოძრაობის სახელით, მაჰმადიან მესხებზე სრული სიმართლის წერა. ამ აკრძალვას საბოლოო ბეჭედი დაესვა ამ წლის დასაწყისში კინოს სახლის წინ ჩატარებულ ცნობილ მიტინგზე, რომელიც აშკარად თვლიდა თავს ეროვნული მოძრაობის ნაწილად. აქ ხალხის სახელით, ერის მოღალატედ გამოცხადების მუქარით ისტორიკოსს და პოეტს შ. ლომსაძეს აეკრძალა მესხეთზე და მესხებზე წერა. მეტიც: მიტინგმა მოითხოვა იმ წიგნების დაწვა, რომლებიც ისტორიკოსს გამოქვეყნებული აქვს.

ამ სიტყვიერი "საარტილერიო" მომზადების დაგვირგვინება იყო 24 ივლისს ბრეთში (ქარელის რ-ნი) მცხოვრებ მშვიდობიან მაჰმადიან მესხთა – დვალიძეთა 10 ოჯახის (სულ 62 სული, მათ შორის 40 არასრულწლოვანი) დარბევა, რაზეც მხოლოდ 27 ივლისს იუწყებოდა გაზეთი "კომუნისტი" (ოღონდ ანონიმურად, არ ჩანდა ვის ეკუთვნოდა ინფორმაცია, რომელი წყაროდან მოდიოდა ეს შემზარავი ცნობა ქართველთა მიერ ქართველთა რბევისა). "ადგილობრივი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სასწრაფოდ მოითხოვა დვალაძეების გასახლება, დაიწყო მათი სახლების ბლოკირება", წერს გულგრილად, თითქოს ავღანურ "დუშმანებს" ეხებოდეს ამბავი, გაზეთი "კომუნისტი". კრინტიც არ არის დაძრული და არც მერე დაძრულა იმის თაობაზე, თუ რა აქციები უძღვოდა ამ გადამწყვეტ აქციას. გაზეთი არ ახსენებს იმ მიტინგს, რომელიც გაიმართა ერთი კვირით ადრე ახალციხიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი "ნამდვილი მესხების" მონაწილეობით, ადგილობრივი მოსახლეობის იდეოლოგიური შემზადების მიზნით – დვალიძეთა წინააღმდეგ ასამხედრებლად. არც იმ მიტინგს ახსენებს გაზეთი "კომუნისტი",

რომელიც რუისში იქნა გამართული და რომლის უჩვეულოდ აღგზნებულმა მონაწილეებმა, ბრეთში ჩასულებმა, ფაქტიურად გადაწყვიტეს დვალაძეთა ბედი, რომ მათ აღარ ეცხოვრათ ბრეთში, თვისტომთა გვერდით. განვსაჯოთ პირუთვნელად, არის თუ არა რაიმე კავშირი კინოს სახლთან გამართულ აუტოდაფისტურ თავყრილობასა და ამ ბრეთულ აქციებს შორის?

ახლა კი ვიკითხოთ, აუცილებელია თუ არა ასეთ ვითარებაში ქართველ მაჰმადიანთა, კერძოდ მესხთა არათუ ეროვნულ, უბრალოდ, ადამიანურ უფლებათა დაცვის საზოგადოების არსებობა, რომლის მიზანშეწონილობას ესოდენი თავგამოდებით უარყოფს საქართველოს "ჰელსინკის კავშირი"? ის "ჰელსინკის კავშირი", რომლის წინაპარი – ქართველ პატრიოტთა ხუთკაციანი წრე სახელწოდებით "ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი" თავისი მოღვაწეობის მთავარ საქმედ სწორედ მაჰმადიან მესხთა პრობლემას თვლიდა? (იხ. თვითგამოცემა "საქართველოს მოამბე", №2, 1977). მაშინ ეს ჯგუფი ქართველი ინტელიგენციის არცთუ მრავალრიცხოვან წარმომადგენლებთან ერთად იღწვოდა მაჰმადიან მესხთა სამშობლოში (არა მაინცდამაინც მესხეთის მიწაზე) დაბრუნებისათვის, დღეს კი "ჰელსინკის კავშირი" გულგრილია იმათი ბედისადმი, ვისაც უკვე აქ, საქართველოში, არბევენ მათივე თვისტომნი.

ნუთუ ახალი "თურქობის" შიშით საბოლოოდ უნდა მოვიკვეთოთ "ცოდვილი" ბენიამინი, რომელიც უკვე, რა ხანია, ცდოლობს წართმეული ეროვნების დაბრუნებას, რათა სამუდამოდ გაერთიანდეს საქართველოს სულთან და სხეულთან?